



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს „ინტერნაციონალური მარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - „ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თავარი სპეციალისტი;

დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: სოფიკო მჭედლიშვილი

სსიპ - ბათუმის N27 საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: ლელა გათენაძე

სსიპ - ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: ტასო ჩართოლანი

სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: ლია ჩიხლაძე

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ვალენტინა ბაშლიკ

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: მიხეილ გრიგოლია

სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: ბადრი ირემაძე

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა:

სკოლის დირექტორი: ქეთევან კომახიძე

სსიპ - ჟორჯი კვარაცხელიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიქავას თემის N1 საჯარო სკოლა:
სკოლის დირექტორი: გურანდა საჯაია

სსიპ - აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N53 საჯარო სკოლა:
სკოლის დირექტორი: ნინო ბურჯალიანი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა

- ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თამრიკო ბასილაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბათუმის N27 საჯარო სკოლა

- ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლა

- ა) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) მარინა ტარულიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლა

- ა) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ასმათი ტოგონიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ირმა თოდბე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

- თ) ნათია იასალაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლა

- ა) თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) მანანა ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა

- ა) დავით ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თამთა დარსაველიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მათა ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემადეების საჯარო სკოლა

- ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) მარინა ისკაკოვა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) თამარ შალვაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა

- ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თამარ ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ნანა ქურთიაშვილი - თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჟორჟი კვარაცხელიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიქავას თემის N1 საჯარო სკოლა

- ა) მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ნელიკო მათეშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ეკატერინე მიქაუტაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ლანა კუჭავა (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N53 საჯარო სკოლა

- ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ნინო მარდიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2026 წლის 03 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

- 1.სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 2.სსიპ - ბათუმის N27 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 3.სსიპ - ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 4.სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 5.სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 6.სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 7.სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემადეების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 8.სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 9.სსიპ - ჟორჟი კვარაცხელიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიქავას თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 10.სსიპ - აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N53 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N 1608643 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 228 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 104.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 1.1. კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზი სრულად აღმოფხვრა, ხოლო 1.2. კომპონენტში, გამოიკვეთა, რომ სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთი და იმავე მიზნის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ამასთან, ამოცანების ნაწილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიულ მიზანთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული შეუსაბამობის გამო, დაწესებულებას 1.2. კომპონენტში ხარვეზი დაუდგინდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:58

დასრულების დრო: 15:20

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს

ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის (ს/კ: 239402623) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ივლისში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორების, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის რევიზირების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სტრუქტურების შემუშავებისა და სტრატეგიული მიზნების გადახედვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ბათუმის N27 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის №1475514 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 300 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 278.

ექსპერტმა ნინო შიუკაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა მესამე სტანდარტისა და მეოთხე სტანდარტის 4.2 კომპონენტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ III სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ ხოლო IV სტანდარტი შეფასდა „შესაბამისად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასდა „შეუსაბამოდ“. მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გეგმავდა თუ არა დაწესებულება ალტერნატიულ შენობაში გადასვლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით სკოლა მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე გეგმავდა ალტერნატიულ შენობაში გადასვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ბათუმის N27 საჯარო საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:40

დასრულების დრო: 14:55

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბათუმის N27 საჯარო საჯარო სკოლის (ს/კ: 248385340) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის 15 სექტემბრამდე სასწავლო პროცესის ალტერნატიულ შენობაში დაწყების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 800. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღვრულ სტაბილურად უსაფრთხო გარემოს, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში შენობის ექსპლუატაცია მიჩნეულია „უსაფრთხოდ ამ ეტაპისთვის“. სკოლის არგუმენტირებული პასუხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გათვალისწინებული და სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, კითხვით მიმართა დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ექსპერტს, რამდენად შეესაბამებოდა გასაუბრების შედეგები კურიკულუმში ასახულ ინფორმაციას.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ გასაუბრების შედეგები თანხვედრაში იყო კურიკულუმთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სკოლამ გაცემულ რჩევებზე რამდენად მოახდინა რეაგირება. ასევე, მან კითხვა დასვა სამხარაულის დასკვნაში მითითებულ დაუყოვნებლივ გასატარებელი ღონიძიებების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ტასო ჩართოლანმა, აღნიშნა, რომ ყველა რჩევა გაითვალისწინეს. რაც შეეხებოდა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის საკითხს, მისი განცხადებით, სკოლამ რეაბილიტაციის საკითხზე წერილით მიმართა რეგიონალური განვითარების სამინისტროს და ელოდებოდნენ პასუხს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როდის გახდა დაწესებულებისთვის ცნობილი შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ტასო ჩართოლანმა, აღნიშნა, რომ სკოლამ გათბობის სიტემის პროექტის შექმნის ეტაპზე შეიტყო აღნიშნული პრობლემის შესახებ.

საბჭოს წევრმა, ნინო ბერიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სკოლის ღობის მთლიანობასთან დაკავშირებით და მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ უკვე მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს და ზაფხულის განმავლობაში ელოდებოდნენ პრობლემის მოგვარებას. მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რა პოზიცია ჰქონდა რესურცენტრს სკოლის შენობის მდგრადობის საკითხზე. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რესურცენტრის დახმარებით მიმართა სკოლამ რეგიონალური განვითარების სამინისტროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:25

დასრულების დრო - 15:45

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლას (ს/კ: 208142703) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, საქნავთის დასახლება.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, საქნავთის დასახლება.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, საქნავთის დასახლება.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან

დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2027 წლის ივნისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-3 სტანდარტი.

4. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია ოზბეთელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს, სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული.

ექსპერტმა, ნათია ოზბეთელაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ I და IV სტანდარტი „შესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნას“; II სტანდარტთან მიმართებით დაწყებითი საფეხური შეფასდა, როგორც „შესაბამისი“ ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე „მეტწილ“ შესაბამისად. III სტანდარტში. 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად: „ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის შენობის (ნაგებობა N01) ვიზუალური დათვალიერებითა და საარქივო მასალების შესწავლით დგინდება, რომ შენობის ძირითადი ძვირფასი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, არსებული დაზიანებების ხასიათიდან გამომდინარე, ფასდება როგორც არააღმავალყოფილებელი.“ შენობის რეალური ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებდა უსაფრთხო ექსპლუატაციის სტანდარტებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა და 3.4.1.1 ინდიკატორი ხარვეზში დატოვა. მიმდინარე წლის 27 მაის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა სკოლის წერილი (ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შემუშავების შემდეგ), რომელსაც თან ერთვოდა 23 მარტის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დამატებითი შემდეგი შინაარსის განმარტება: „ ბიუროში შემოსული თქვენი დამატებითი წერილთან (რეგისტრაციის N1002287726) დაკავშირებით, დამატებით განვმარტავთ რომ N000112126 დასკვნაში განხილულ

შენობაზე 2025 წლის 25 დეკემბერის მდგომარეობით, მნიშვნელოვანი კონსტრუქციული დაზიანებები არ დაფიქსირებულა. თუმცა შენობის საექსპლუატაციო მედეგობა დაქვეითებულია, იგი შეუსაბამოა მოქმედ სეისმურ ნორმებთან და მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. ეს იმას ნიშნავს რომ, ვინაიდან ამ ეტაპზე შენობაზე კრიტიკული კონსტრუქციული დაზიანებები არ ფიქსირდება, მისი ექსპლუატაცია ტექნიკურად შესაძლებელია. თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამობისა და დაქვეითებული საექსპლუატაციო მედეგობის გამო, ექსპლუატაციის პროცესი შეიცავს გარკვეულ რისკებს, ამიტომ შენობის სამომავლო უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის რეკომენდირებულია დროულად მოხდეს შენობის აღდგენა/რეაბილიტაცია და მისი სეისმომედეგობის ამაღლება, რაც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით რენტაბელურია. ”

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დასკვნის შესაბამისად რა ქმედითი ნაბიჯები გადადგა სკოლამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლამ მიმართა მუნიციპალიტეტს აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიღეს დაპირება სკოლის შენობის რეაბილიტირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მხოლოდ ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია ჰქონდა ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაითვალისწინა თუ არა სკოლამ მეოთხე სტანდარტში გაცემული რჩევები.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სკოლის მიერ გათვალისწინებული იყო.

საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. მისი კითხვა შეეხებოდა იმას, თუ ვისთან თანამშრომლობდა სკოლა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა აწყობდა ღია კარის დღეებს და ხშირად მასპინძლობდა ბაღის აღსაზრდელებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:48

დასრულების დრო - 16:10

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის

სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის საჯარო სკოლას (ს/კ:244970705) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ივანდიდი სკოლა (1შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ივანდიდი სკოლა (1შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ივანდიდი სკოლა (1შენობა)

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2027 წლის ივნისიდან;
 მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
 მონიტორინგის ფარგლები: მე-3 სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის დეკემბერში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ხელსაზღვრის, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის, გამწოვი კარადის მონტაჟის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

